



## საქართველო

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 100

22/12/2017

#### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს ცნობად მიღების რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებით დამტკიცებული „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, იურიდიულ საკითხთა კომისიის 2017 წლის 21 დეკემბრის №5 დასკვნისა და საკრებულოს ბიუროს 2017 წლის 22 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** ცნობად იქნეს მიღებული ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს დაფუძნება და რეგისტრირებულად ჩაითვალოს 2017 წლის 21 დეკემბრიდან .

**მუხლი 2.** ინფორმაცია ფრაქციის დაფუძნებისა და ფრაქციის თანამდებობის პირთა არჩევის შესახებ სადამფუძნებლო დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნოს სსიპ „საჯარო სამსახურის ბიუროს“ და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას.

**მუხლი 3.** განკარგულება გამოსაქვეყნებლად გადაეგზავნოს ადგილობრივი გაზეთი „თერჯოლა“-ს.

**მუხლი 4.** განკარგულება ჩაბარდეს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“-ს თავმჯდომარეს ლაშა ლანჩავას.

**მუხლი 5.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 6.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

*ნ. ჯანელიძე*

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო